

მარიამ ლორთქიფანიძე, ეკატერინე ყირიმლიშვილი  
Mariam Lordkipanidze, Ekaterine Kirimlishvili  
Мариам Лордкипанидзе, Екатерине Кириллишвили

ობიექტური საერთაშორისო სამართლის საკითხები

**The Issues of Objective International Law**

**Вопросы объективного международного права**

თბილისი  
2016

პუბლიკაციის პირველ პარაგრაფში წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულის - მარიამ ლორთქიფანიძის შრომა „ღმერთით, სამართალი ობიექტური იქნება“, მეორე პარაგრაფი კი თანაკურსელების - მარიამ ლორთქიფანიძისა და ეკატერინე ყირიმლიშვილის ერთობლივი საკონფერენციო თემის „საერთაშორისო სამართლის ქმედითი მექანიზმების როლი დავების მშვიდობიან მოგვარებაში“ შემცირებული ვარიანტია, რამაც განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა მსოფლიოში მომრავლებული რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით.

გამოცემა წმინდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებაა და განკუთვნილია სამართალმცოდნეობის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

მომზადდა და გამოიცა თანაავტორთა ხარჯებით.

## §1. ღმერთით, სამართალი ობიექტური იქნება

ავტორი მარიამ ლორთქიფანიძე

უფალმა ადამიანი შექმნა “ხატად და სახედ თავისა”, უბოძა მას “უთვალავი ფერით დახატული” სამყარო...

დღიდან გაჩენისა, ადამიანი იბრძვის გადარჩენისთვის. ცხოვრება ბრძოლაა, გამარჯვებული მხოლოდ ღირსეული რჩება. მხოლოდ ღირსეულთა ზვედრია ცხოვრების ტვირთთან შეჭიდება. უფალი ბრძანებს: “უღელი ჩემი ტკბილ არს, ტვირთი ჩემი – სუბუქ”. რეალურად, მხოლოდ სიამოვნების მომგვრელი უნდა იყოს უფლისეულ გზაზე სირთულეებთან გამკლავება.

ადამიანს წინ გრძელი ცხოვრებისეული გზა აქვს გასავლელი, გზა, რომლის ბოლოს “ისტორიული სამშობლოა”. თუმცა, ეშმაკის მანქანებით, ბოროტი ძალების გავლენით შესაძლებელია ეს გზა რამდენადმე გამრუდდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეულმა ჩვენთაგანმა არჩევანი უნდა გააკეთოს – ან აირჩიოს უფლისკენ სავალი გზა და გაუდგეს მას რწმენით, პატიოსნად, სამართლიანად, ან ამჯობინოს გზა უმეცრებისა, უსამართლობისა, ცოდვისა... მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელიც “ცხონდეს და არა სცოდლოს”, ერთი რამ არის ცხადი – “არავის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად, მონებად ღმრთისა და მამონაისა”. იმისდა მიხედვით, თუ რა კვალს დავადგებით, ჩვენი ამქვეყნად მოვლინების შედეგად ანალოგიური გვექნება. სულიერ მღვიძარებას მხოლოდ ქრისტიანული ცხოვრების წესით მოვიპოვებთ, რაც მჟღავნდება სიკეთის კეთებით.

უფალი შემოქმედია, კეთილისმქმნელი... თავის გაჩენილთ მოუწოდებს: “იყავით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს”. უნაკლო ადამიანი არ არსებობს, მოსაწონი ის ნაკლოვანი ადამიანია, ვინც ბაძავს სრულს – მამა ღმერთს – უფალი ბრძანებს.

გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს უეცრად აღმოხდება-ხოლმე: “უფალო, სად არის სამართალი?” ამ კითხვის ადრესატი მართლაც უფალია, სწორედ მან დაამკვიდრა ამქვეყნად სამართალი იმ მიზნით (და არა მარტო), რომ მისი მეშვეობით მოეწესრიგებინა ურთიერთობები მოკვდავთ შორის. რეალურად, რომ არა სამართლის დაწერილი, თუ დაუწერელი ნორმები (ქცევის წესები), ამქვეყნად სრული ანარქია და ქაოსი დაისადგურებდა. სწორედ უფლის მიერ შთაგონებულმა მოკვდავმა შეასხა ზორცი ამქვეყნად მოქმედ სამართალს, მისცა მას ყოვლადსავალდებულო ნორმების სახე.

სადღეისოდ, თითოეული ქვეყნის სამართალგანვითარების დონე მიუთითებს მის ადგილზე განვითარებულ, “მოწესრიგებულ” სახელმწიფოთა იერარქიაში.

ჩვენი ამოცანაა – მაქსიმალურად შევეცადოთ ვემსგავსოთ უფალს, ვიყოთ შემოქმედნი. თითოეულის კათარზისი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ღვთის მოძღვრებით ვიხელმძღვანელებთ, ღირსებით იქნება ნაკარნახევი თითოეული ჩვენი ნაბიჯი... სახარებაში ნათქვამია: “ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს”, პიროვნების შემოქმედების ნაყოფის მიხედვით შეიძლება მასზე გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ

– ღირსეულს ღირსეული შედეგი აქვს, “არა ხელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, არცა ხესა ხენეშსა ნაყოფისა კეთილისა ქმნად”.

სამართალი ის საწყისია, რომელზეც აიგება საზოგადოების წევრ ინდივიდთა შორის ურთიერთობები. თუ კულტურა ცხოვრების წესია, სამართალი იარაღია ცხოვრებისეული ორომტრიალის დასარეგულირებლად. სამართლიანობის სწორად აღქმასა და გაგებას თავისებური უნარი უნდა. სწორედ ამიტომაც განსხვავებული ცალკეულ ერთა წარმოდგენები სამართალზე, მათთვის ხომ სამართლიანობის გაგება ხვადასხვა საწყისს ეფუძნება.

იქ, სადაც უწესრიგობა, სიზარმაცე, უქნარობაა, სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია, “სიზარმაცე და უქნარობა თავია ყოველგვარი ბოროტებისაო”, ნათქვამია. სწორედ წესრიგით, ურთიერთისთვის ანგარიშის გაწევით საზრდოობს სამართალი. უცხოთმოყვარეობა – ეს უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის განუყოფელი თვისება, თუ ჩვენ ელემენტარულ წესრიგზე გვექნება რაიმე პრეტენზია.

ამქვეყნიური “სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ”, “მრავალნი არიან წვეულ, მცირედნი რჩეულ”. განვმეორდები და ვიტყვი, რომ მართლაც, ღირსეულთა ხვედრია სამართლიანად წარმართოს თავისი ცხოვრება. მართლაც, არაფერი ქრება უკვალოდ – სიკვდილს სიცოცხლე მოსდევს, სინათლეს სიბნელე... გვირახის ბოლოს ყოველთვის სინათლეა, მთავარია გვახსოვდეს, რომ უფლისთვის არასდროს რჩება შეუმჩნეველი ჩვენი ესა თუ ის ნამოქმედარი, “არ არს დაფარული, რომელიც არა გამოჩინებულ იქმნეს”, “უფალამნ შენმან, რომელიც ხედავ და არუღს, მოგაგოს შენ ცხადად”.

2500 წელზე მეტია, რაც მეცნიერები ცდილობენ განმარტონ სამართალი, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდება. ნიციშეს აზრით, მხოლოდ იმის დეფინიცია შეიძლება, რასაც ისტორია არ აქვს, სამართალი კი ისტორიული და კულტურული მოვლენაა, რომელიც საუკუნეებს ითვლის.

მართალია, კონკრეტული განმარტება სამართლისა არ არსებობს, მაგრამ ყველასთვის ცნობილია, რომ იგი დაწერილი თუ დაუწერელი ნორმების სახით სუბიექტთა შორის ურთიერთობებს არეგულირებს. თუ ბუნებითი სამართალი საზოგადოდ “კარგ” და “მისაღებ” ქცევის წესებს ადგენს, პოზიტიური სამართალი, ვიწრო გაგებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმებია, ფართო გაგებით კი – საზოგადოებაში მოქმედი ყველა ქცევის წესი.

სამართალი აუცილებლად ობიექტური, ყველანაირი “კერძო მინარევისგან”, სუბიექტივიზმისგან თავისუფალი უნდა იყოს. როგორც სამართალწარმოება, ისე სამართლის შეფარდება უნდა იყოს გამიჯნული მიკერძოებისგან. თანასწორობის უზრუნველყოფა წარმოადგენს სამართლიანობის დამკვიდრების ერთ-ერთ საფუძველს.

ქრისტიანობა – ჭეშმარიტი რელიგია, მართმადიდებელთა სულიერი მოთხოვნილებათა, სამართალი და სამართლიანობა კი – ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საშუალება, რომლებიც ამ რელიგიითაა განმტკიცებული.

ისღა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ კაცობრობა, თავისი განვითარების თითოეულ ეტაპზე, უფრო და უფრო დახვეწს სამართალგანვითარების დონეს, გაისივრებენ რა მის უდიდეს როლს წესრიგისა და თანასწორობის განმტკიცებაში.

## ავტორის შესახებ

**Education:** მარიამ ლორთქიფანიძემ 2006 წელს დაასრულა თბილისის №1 საჯარო სკოლა (შესაბამისი სრული ზოგადი განათლების ატესტატით №028504).

**Diplomas:** 2010 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

**Scholarships:** არის მრავალი ქების ფურცლისა, დიპლომისა და სერთიფიკატის მფლობელი, მ.შ. მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონკურსებში წარმატებისათვის, მიღებული აქვს სიგელი “ნორჩ მხაზველთა” რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობისათვის და სახელმწიფო გრანტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, “Norwegian refugee council” on prevention of HIV/AIDS/DRUG, იყო ევროპის სტუდენტთა ფორუმის წევრი.

**ADDICTION;** “საქართველოს ახალგაზრდული ასოციაცია” თემაზე ადგილობრივი დემოკრატია (საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო). გავლილი აქვს *ESM* ტრენინგი ბიზნესის საკითხებში და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ტრენინგი მიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა ურთიერთგამიჯვნის შესახებ.

**PROFESSIONAL EXPERIENCE:** მართლმადიდებლურ ჟურნალ “ქაროზში” გამოქვეყნებულია მისი შრომა “ღმერთით, სამართალი ობიექტური იქნება”, 2007 წელი, №2(45), გვერდები 11-12; კვლევის ნაწილი შესულია წმინდა ქაშვეთში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) შესახებ საიუბილეო გამოცემაში; არის წიგნის “ნოვატორული არაორდინარული მენეჯმენტი და მარკეტინგი უახლოესი სტრატეგიისათვის” თანაავტორი (ISBN 978-9941-0-6302-2, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29381>).

**LANGUAGE** ქართული, რუსული (თავისუფლად), ინგლისური (თავისუფლად).

**COMPUTER SKILLS:** Microsoft Word, Excel, PowerPoint, Outlook Express, Internet.

## §2. საერთაშორისო სამართლის ქმედითი მექანიზმების როლი

### დავების მშვიდობიან მოგვარებაში

თანაავტორები:

მარიამ ლორთქიფანიძე, ეკატერინე ყირიმლიშვილი



საერთაშორისო სამართლის ქმედითი მექანიზმების როლი  
დავების მშვიდობიან მოგვარებაში

*ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან  
ისინი ღვთის შვილებად იწოდებიან...  
(მათე 5,9)*

*დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა,  
და კაცთა შორის სათნოება  
(ლუკა 2,14)*

### 1. შ ე ს ა ვ ა ლ ი

მშვიდობა - სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტია დედამიწაზე სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, მისი ნორმალური ფუნქციონირების უზუნველყოფისათვის. ყველასთვის ნათელია, რომ იქ, სადაც წესრიგია - ღვთის სიყვარული, სიმშვიდე სუფევს და საქმის კეთებაც მეტ-ნაკლებად გამართლებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნად უცოდველი არავინაა და ცოდვებიც შედარებითაა, ყველა ჩვენგანს კარგად უნდა ესმოდეს, თუ რამდენი განმსაზღვრელია უმცირესი წვლილიც კი, შეტანილი ამქვეყნად ანარქია-ქაოსის პროვოცირებაში.

მშვიდობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება სახელმწიფოების განვითარების ერთ-ერთი საწინდარია. თითოეულ სახელმწიფოს მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიური პოლიტიკა სჭირდება სამართავად. ნიკოლო მაკიაველი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკა მეტი არაფერია, თუ არა ბრძოლა და ქიშპი. მაგრამ ხომ შეიძლება ამ საკითხს დადებითი კუთხით შევხედოთ? პოლიტიკა ხელოვნებაა და იქ, სადაც ქვეყანას “ხელოვანი” ადამიანები მართავენ სამართლის, სადაც ამ ადამიანებს ხელთ კანონის სადავეები უპყრიათ, მდგომარეობა უფრო სტაბილურია, დემოკრატიაც სწრაფი ტემპებით წინაურდება.

რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრიაო, ნათქვამია, აქედან გამომდინარე, ამ საკითხზეც შეიძლება ვიდაოთ, თუმცა, ერთი ფაქტი მაინც ფაქტად რჩება – ყველა სახელმწიფოს თვითმიზანი უნდა იყოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის უზრუნველყოფა, ქიშპისა და აგრესიის მინიმუმანდე დაყვანა.

ერთია თეორია, მეორე კი პრაქტიკა, რომელშიც იგი უნდა აისახოს...

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ თავი მოგვეყარა იმ მექანიზმებისთვის, რომლებსაც იყენებს საერთაშორისო სამართალი დავების მშვიდობიანი მოგვარებისთვის, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების განმუხტისთვის, მსოფლიო საზოგადოებისთვის ომის უბედურების თავიდან აცილებისთვის, შევეცადეთ მაქსიმალური ინფორმაცია მოგვეგროვებინა ამ საკითხთან დაკავშირებით.

## 2. კონფლიქტი ყოველდღიურ ყოფაში და მისი “მართვის ხელოვნება”

*“გახსოვდეს, აზრის შეცვლა და ისეთი მოქმედება, რაც შენს შეცდომას გამოასწორებს, უფრო შეჭყერის შენს თავისუფლებას, ვიდრე შეცდომის გიუტად დაცვა”*

**მარკუს ავრელიუსი (121-80ძვ.წ.)**

კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილია, იბადება და ქრება ცივილიზაციები, იცვლება წყობილება, მაგრამ არ ნელდება დაპირისპირება. ადამიანები ყოველდღიურად დგებიან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე.

ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი განმარტებით – “კონფლიქტი არის ორი ან მეტი მხარის ინტერესების, შეხედულებების დაპირისპირება, რეალური ან წარმოსახული”.

ერთი შეხედვით, სიტყვა “კონფლიქტი” ჩვენში მხოლოდ უარყოფით ასოციაციებს აღძრავს, მაგრამ კონფლიქტს დადებითი ასპექტებიც გააჩნია: იგი წარმოაჩენს პრობლემებს, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას, იძლევა ევოლუციური ცვლილებების საშუალებას, გვეხმარება იმის გარკვევაში, თუ ვინ ვართ ჩვენ და ვინ არის ჩვენი ოპონენტი.<sup>1</sup>

ერთი და იგივე ობიექტურად არსებულ მოვლენას სხვადასხვა მხარე თავისი სუბიექტური რელობიდან გამომდინარე სხვადასხვანაირად აღიქვამს. ხშირად გვეგონია, რომ კონკრეტულმა მოვლენამ სხვაშიც ისეთივე გრძნობები უნდა გამოიწვიოს, რაც ჩვენში, მაგრამ, ფაქტიურად

<sup>1</sup> კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN), როგორც მოვავაროთ კონფლიქტები, გამოშვება I, თბ, 2000, გვ.4-7

ემოციებს იწვევს არა ესა თუ ის მოვლენა თავისთავად, არამედ ის საზრისი, რასაც ჩვენ მასში ვხედავთ.

როდესაც სხვისგან მისი სუბიექტური რეალობის შეცვლას ვითხოვთ, ფაქტიურად ეს იმას ნიშნავს, რომ უარი უნდა ვათქმევინოთ საკუთარ გამოცდილებაზე. იქნებ უმჯობესია, გავაანალიზოთ, რომ შესაძლოა, იგი პრობლემას სხვა თვალთ უყურებს. პრობლემის მოგვარებაც სწორედ მაშინ დაიწყება, როცა მზად ვიქნებით გავუვოთ სხვას და ვაღიაროთ მისი სუბიექტური სამყარო. (აღიარება არ ნიშნავს დათანხმებას).

საზოგადოებაში კონფლიქტების სრული მოსაპობა შეუძლებელია. სამაგიეროდ, შესაძლებელია ვისწავლოთ მათი მართვა, ანუ, სხვა სიტყვებით, საჭიროების შემთხვევაში ვიცოდეთ, როგორ ავიცილოთ ისინი თავიდან.

თითოეული მხარე კარგად უნდა ერკვეოდეს კონფლიქტის არსში, რათა თავად დასძლიოს სირთულეები და გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა მიმდინარე პროცესებში. სასურველია, რომ მხარეები გარედან კი არ ელოდნენ პრობლემის გადაწყვეტას, არამედ თვითონ გამოიჩინონ აქტიურობა და შეეცადონ დასძლიონ და მართონ პრობლემური სიტუაცია.

### 3. დავები საერთაშორისო ასპარეზზე

*ნამდვილი სარდალი გონებით იმარჯვებს და არა ძაბვლით*

**ნაპოლეონ ბონაპარტი (1769-1821)**

დავები სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ხშირად გამხდარა შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი. სახელმწიფოთა შორის დავების მოგვარება ქვაკუთხედი, რომელსაც ეყრდნობა სხვა წესების და პრინციპების მოქმედება.<sup>2</sup>

რეალურად, არ არსებობს საერთაშორისო დავის მნიშვნელობის შეთანხმებული განმარტება. თუმცა, არსებობს მთელი რიგი ბერკეტებისა, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი ამ დავების მოსაგვარებლად იყენებს.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების “მიზნებსა და პრინციპებს” (თავი I) გადავხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს “სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებებით მოაგვაროს ანდა გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები, ან ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს” (მუხ. 1(1)).

ცხადია, დავების მოგვარებას შესაბამისი მოქმედებები, ხერხების გამოყენება სჭირდება. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ხერხების საფუძველი კი, თავის მხრივ, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს ეკისრებათ მოვალეობა უთანხმოებანი სხვა სახელმწიფოებთან მოაგვარონ მშვიდობიანი გზებით, რაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის სისტემის პრინციპულ საფუძველს წარმოადგენს დებულებები, ჩამოყალიბებული გაეროს წესდებაში და 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ. გაეროს წესდების თანახმად: “მხარეები,

---

<sup>2</sup> პიტერ მაღანჩუკი, აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, “დიოგენე”, 2005, გვ.303



რომლებიც მონაწილეობენ ნებისმიერ დავაში, რომლის გაგრძელებაც შეიძლებოდა დაბუქებოდა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშეობის დაცვას, პირველ ყოვლისა უნდა ცდილობდნენ დავის მოგვარებას მოლაპარაკებების, გამოკვლევის, შუამავლობის, შერიგების, არბიტრაჟის, სასამართლო განხილვის, რეგიონული ორგანოებისადმი ან შეთანხმებებისადმი მიმართვის, ან ნებისმიერი სხვა საშუალებების გზით, საკუთარი არჩევნის მიხედვით.<sup>3</sup>

1970 წლის დეკლარაციის თანახმად, დავის ხასიათისა და გარემოებების შესაბამისად უნდა იქნეს არჩეული დავის მოგვარების ხერხები და ცხადია, ისინი მოდავე მხარეებმა ერთმანეთს უნდა შეუთანხმონ.

გაეროს წესდებაში ჩამოყალიბებული დავის სახეები, რომლებიც ითხოვენ მოწესრიგებას, ესენია: (1) დავები, რომელთა გაჭიანურებამ შეიძლება შექმნას საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების დარღვევის რეალური საფრთხე; (2) სხვა ხასიათის დავები, რომლებიც ასეთ საფრთხეს უშუალოდ არ ქმნიან, მაგრამ მწვავე კონფლიქტის ხასიათს ატარებენ. (3) იურიდიული ხასიათის დავები, ანუ დავები უფლება-მოვალეობის გამო, (4) ადგილობრივი დავები.<sup>4</sup>

მართლაც და, დავები, თავისი არსით, ძალიან საშიშ მოვლენას წარმოადგენენ და თუ მათი დროული მოგვარება არ მოხდა, შედეგი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო სამართლმა საფუძველი ჩაუყარა ქმედითი მექანიზმებს, ბერკეტებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ დავების “ლიკვიდაციაში”.

#### 4. საერთაშორისო სამართლში ქმედითი მექანიზმები დავების მოგვარებისთვის

##### I. დავის მოგვარების დიპლომატიური საშუალებები

*რაც არ უნდა ეცადო, ძალმომრეობით ვერაფერს დაამტკიცებ.  
ქვეყნად ორად ორი ძალა მეგულება: ხმალი და გონება.  
საბოლოოდ გონება მუდამ ჯობნის ხმალს.*

**ნაპოლეონ ბონაპარტი (1769-1821)**

##### (ა) მოლაპარაკებები

*სიტყვაზე ძლიერი არაფერია.*

**მენანდრე (ძვ.წ. 342-293)**

მოლაპარაკება სახელმწიფოთა შორის დავების მოგვარების უნივერსალურ ხერხს წარმოადგენს - იგი დავის გადაწყვეტის მარტივი, პრაქტიკული გზაა, რომელიც უზრუნველყოფს მოდავე მხარეებს შორის უშუალო და კონფინიფიდენციალურ კონტაქტს, ურთიერთპრეტენზიებისა და პოზიციების ოპერატიულ, უშუალო გაცნობას, დავის მოსაგვარებლად გადაწყვეტილების გამოძებნას,

<sup>3</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თავი VI, მუხ.33-34, გაერო-ს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი, თბ.,2002 წ. გვ.28.

<sup>4</sup> სავანელი ბ.,საერთაშორისო სამართლის საფუძვლები. “ ფრინთ-ქოლორი”, თბ.,2000, გვ.

სწორედ ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობებში მოლაპარაკება აღიარებულია I რიგის საწყის ხერხად.

მოლაპარაკება შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი. მრავალმხრივი მოლაპარაკებების მიზანი არ ამოიწურება დავების გადაწყვეტით, ისინი ასევე მიზნად ისახავენ შესაძლებელი დავების აღკვეთას. ამის გამო, მასში მრავალი სახელმწიფოა ჩართული.<sup>5</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრები, რაც, ნაყოფიერ პროცესს წარმოადგენს. მაგ.: აშშ-ს, ინგლისის და სსრ კავშირის მეთაურების შეხვედრები (თათბირები, კონფერენციები) ყირიმსა და პოტსდამში, სადაც დადებითად გადაწყდა მთელი რიგი საკითხები.

ორმხრივი მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე ამჟამად გამოიყენება სახელმწიფოთა მიერ, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, დიდი სარგებელი მოაქვს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირებს. უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება ხშირად სპეციალური დელეგაციების გაგზავნითა და მიწერ-მოწერით (ნოტების და მემორანდუმების ურთიერთგაგზავნა ა.შ) ხორციელდება.<sup>6</sup>

საერთაშორისო სამართლაში ჩამოყალიბდა მოლაპარაკების წარმოების პრინციპები, რომელთაც საფუძვლად უდევს მოდავე მხარეთა მიერ თანასწორობის, კეთილსინდისიერების და სამართლიანობის დაცვა. მხარეები ვალდებული არიან თავი აარიდონ კონფლიქტური სიტუაციის გაღრმავებას, დაიცვან ეთიკის ელემენტარული ნორმები, ეძებონ ურთიერთმისაღები პოზიციები. მნიშვნელობა აქვს ადგილისა და დროის შერჩევას. თუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მხარეები უნდა შეთანხმდნენ მომავალი შეხვედრის ადგილზე, დროზე, ან მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა ხერხებზე.

### (ბ) კონსულტაციები

კონსულტაციები დავების მოგვარების შედარებით ახალი ხერხია (სათავეს იღებს XX საუკუნის II ნახევრიდან). მისი გამართვის მიზნით მოდავე მხარეები ქმნიან საკონსულტაციო ორგანოებს.

კონსულტაციების აუცილებელი წარმოება გათვალისწინებულია ჩრდილო ატლანტის პაქტით, რომლის თანახმადაც ნატოს ფარგლებში იქმნებიან საკონსულტაციო ჯგუფები.

საერთაშორისო პრაქტიკამ გამოიყენა კონსულტაციების 2 სახე: ფაკულტატიური და სავალდებულო. ფაკულტატიურია კონსულტაციები, რომლებსაც მხარეები აწარმოებენ ურთიერთშეთანხებით, ხოლო სავალდებულოა კონსულტაციები, რომელთა ჩატარება წინასწარ გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

კონსულტაციები ძირითადად ტარდება სადავო საკითხის ოპერატიულად მოსაგვარებლად, უმრავლეს შემთხვევებში წინ უსწრებს მოლაპარაკებებს.<sup>7</sup>

### (გ) “კეთილი სამსახური” და შუამავლობა

*ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიო, ეს ნიშნავს,  
რომ მონაწილე ხარ მისი. ფან ფაკ რუსო (1712-1778)*

<sup>5</sup> სავანელი

<sup>6</sup> ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, “ნოვაცია”, თბ., 2006,

გვ.326

<sup>7</sup> სავანელი

კეთილი სამსახური და შუამავლობა დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ხერხია და მდგომარეობს მესამე ძალის მხრიდან მოდავე მხარეებისთვის დახმარების აღმოჩენაში მათივე თანხმობით. მესამე მხარედ შეიძლება მოგვევლინოს როგორც სახელმწიფო, ისე სახელმწიფოთა ჯგუფი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები ან კერძო პირები.

“კეთილი მომსახურებისას” მესამე ძალა ხელს უწყობს მხოლოდ კონტაქტების დამყარებას მხარეებს შორის (დავის გადაწყვეტაში არსებითი ჩარევის გარეშე<sup>8</sup>), მოლაპარაკების დაწყებას ან განახლებას, მაგრამ უშუალოდ თვითონ მოლაპარაკებაში არ მონაწილეობს. შუამავლობის დროს კი მესამე ძალა უშუალოდ მონაწილეობს დავის მშვიდობიან გადაწყვეტაში, იგი წარუდგენს მხარეებს დავის გადაწყვეტის ვარიანტებს, ცდილობს მოხსნას ან შეარბილოს დაძაბულობა მხარეებს შორის, თითოეულ მხარეს ცალ-ცალკე ან ერთად აძლევს რჩევებს (ორივე შემთხვევაში შუამავლის წინადადებები და რეკომენდაციები რეკომენდაციების სახეს ატარებენ<sup>9</sup>).

ჰაავის 1907 წლის კონვენციის თანახმად, თუკი მოდავე მხარეთა დაპირისპირება საფრთხეს უქმნის მშვიდობას, მაშინ მხარეები ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად ირჩევენ სახელმწიფოებს ან სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ერთმანეთთან შედიან კონტაქტში, აცალიბებენ დავის გადაწყვეტის ურთიერთმისაღებ ვარიანტს ერთმანეთთან და ყველა ღონეს ხმარობენ დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის.<sup>10</sup>

#### (დ) შემთანხმებელი კომისიები, ფაქტის დადგენა და გამოძიება

შემთანხმებელი კომისიების იქმნებიან მოდავე სახელმწიფოების მიერ ისეთი დავის გადასაწყვეტად, რომლის გადაწყვეტა მოლაპარაკებების პროცესში ყოფნდება ან ჩიხშია მომწვედელი. შემთანხმებელი კომისიების საქმიანობის პროცედურეს ცალკეული საკითხები გათვალისწინებულია ვენის 1975 და 1986 წწ. კონვენციებით საერთაშორისო სამართლის შესახებ, ვენის 1978 წლის კონვენციით საზღვაო სამართლის შესახებ.<sup>11</sup>

“ფაქტის დადგენა” და “გამოძიება”, როგორც ფაქტების დადგენის მეთოდები საერთაშორისო სამართალში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნებისთვის, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღებისთვის. გამოძიების მიზანია, სადავო საკითხებზე მიუკერძოებელი დასკვნების გაკეთება და, ამრიგად მოლაპარაკებებით საკითხის გადაწყვეტისთვის საფუძვლის მომზადება. საგამომძიებლო კომისია ამოწმებს მხოლოდ საქმის ფაქტიურ მხარეს და ამ შემოწმების შედეგებს მხარეებს მოახსენებს. შემთანხმებელ კომისია ფაქტების დადგენასთან ერთად შეიძლება ხოლმე დავის გადაწყვეტის ვარიანტსაც.

ფაქტების დადგენაზე საუბარია რამდენიმე ხელშეკრულებაში – 1907 წლის ჰაავის კონვენცია აღწერს საგამომძიებლო კომისიის მოვალეობას, რომ მან “ხელი უნდა შეუწყოს გადაწყვეტას... მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი გამოძიებით” (მ.9) და ზრუდავს კომისიის ანგარიშს “ფაქტების დადგენით”, რომელსაც არ აქვს გადაწყვეტილების ხასიათი(მ.35), უფრო მოგვიანებით მიღებული საერთაშორისო აქტები ითვალისწინებს, რომ “ფაქტების დამდგენმა კომისიამ” სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტები და მისცეს რეკომენდაციები.<sup>12</sup>

<sup>8</sup> ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, “ნოვაცია”, თბ., 2006, გვ. 326

<sup>9</sup> იქვე

<sup>10</sup> სავანელი

<sup>11</sup> სავანელი ბ., საერთაშორისო სამართლის საფუძვლები. “ ფრინთ-ქოლორი”, თბ., 2000.

<sup>12</sup> მალანჩუკი, გვ 306

როგორც გამოძიების, ისე ფაქტის დადგენისას, კომისიების გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა - მხარეები არ არიან ვალდებული მიიღონ მათი შედეგები.

### (ე) შერიგება

*ომი –ჭირია განუკვეთეთ აგრესორები*

**ფრანკლინ რუზველტი (1882-1945)**

1961 წელს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა შერიგება შემდეგნაირად განსაზღვრა: *ნებისმიერი ხასიათის საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საშუალება, რომლის მიხედვითაც, დავის გადასაჭრელად მხარეების მიერ მუდმივ ან ad hoc საფუძველზე ჩამოყალიბებული კომისია აწარმოებს დავის მიუკერძოებელ შესწავლას და ცდილობს, განსაზღვროს მხარეებისთვის მისაღები გადაწყვეტილება ან აღმოუჩინოს მოდავე მხარეებს ნებისმიერი დახმარება, რომელსაც სთხოვენ, დავის გადაწყვეტის მიზნით.* შერიგება, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის მეთოდი სათავეს იღებს 1913-14 წწ. ბრაიან-კელოგის ხელშეკრულებებში.

მხარეები ირჩევენ მომრიგებელს, რომელიც შერიგების შერიგების ფუნქციის შესასრულებლად ირჩევა მისი ოფიციალური თანამდებობის საფუძველზე, მაგ.: გაეროს გენერალური მდივანი, ან პიროვნული ღირსებებიდან გამომდინარე. უმეტესად, სახელმწიფოები ასახელებენ ერთ ან ორ საკუთარ მოქალაქეს და თანხმდებიან სხვა სახელმწიფოების შეთანხმებული ოდენობის მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პირებზე, რადგან კომისიის შემადგენლობაში ნეიტრალური უმრავლესობა იყოს.

მომრიგებელი, როგორც წესი, მხოლოდ ერთ დასკვნას გამოსცემს, რომელსაც რეკომენდაციების სახე აქვს. თუ მხარეები მიიღებენ შემრიგებელი კომისიის წინადადებას, კომისია არსებობას წყვეტს და სამართლებრივი შეხედულებების გამოყენება შემდგომ საარბიტრაჟო ან სასამართლო პროცესებში დაუშვებელია, თუ მხარეები ამაზე არ შეთანხმებულან.

პროცესი არ ქმნის სასამართლო პრეცედენტს.

შერიგება ზოგადად უფრო სასურველია, როცა დავა უმნიშვნელო ან მისი ძირითადი საკითხები სამართლებრივი ხასიათისაა, ამასთან გადაწყვეტილება თანაბრად უნდა იცავდეს მხარეების უფლებებს.

თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავის გადაუჭერლობის შემთხვევაში შერიგების მომდევნო ეტაპი იქნება პროცედურა სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილებით, შეტრიგება უფრო ხშირად გვირგვინდება წარმატებულად.<sup>13</sup> (მხარეები მაქსიმალურად არიღებენ თავს დავის სასამართლოსთვის გადაცემას).

## II. დავის მოგვარების სამართლებრივი საშუალებები

*“მშვენივრად თქმულა: ორი მხარე როდესაც დავობს, ხამს მოსამართლემ მოუსმინოს ორივე მხარეს”*

**ვერაბიდე (დაახ.480-406 ძვ.წ.)<sup>14</sup>**

<sup>13</sup> პიტერ მალანჩუკი, აკეპარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, “დიოგენე”, 2005, გვ.305-310.

<sup>14</sup> გელოვანი ა., სიბრძნის სიმფონია, “ხელოვნება”, თბილისი, 1989, გვ.54.

დავის მოგვარების სამართლებრივი საშუალებებია - სასამართლო განხილვა და არბიტრაჟი, რომელთა შედეგია მხარეებისთვის სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილება, თუ დავების გადაწყვეტის არასავალდებულო (დიპლომატიური) საშუალებები წარუმატებლად დამთავრდება. გაეროს წესდება ითვალისწინებს, რომ მხარეებმა, როგორც წესი თავიანთი იურიდიული დავები უნდა გადასცენ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს. უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებში ფიქსირებულია ზოგადი დებულება იმის შესახებ, რომ დავა სახელმწიფოებს შორის გადაეცემა სასამართლოს ან არბიტრაჟს იმ შემთხვევაში, როცა იგი ვერ მოწესრიგდა მოლაპარაკებით, კონსულტაციებით, შეთანხმებული პროცედურით ან სხვა მშვიდობიანი ხერხებით.

მხარეების თანხმობა საჭიროა როგორც საარბიტრაჟო, ისე სასამართლო განხილვისთვის.

მუდმივ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს შორის საერთაშორისო სასამართლო (ICJ), ან, როგორც მას ხშირად უწოდებენ, “მსოფლიო სასამართლო” უდავოდ, ყველაზე მნიშვნელოვანია.<sup>15</sup>

საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოები მოქმედების არეალის მიხედვით იყოფიან უნივერსალურ (მაგ.: გაეროს საერთაშორისო სასამართლო), და რეგიონალურ (მაგ.: ევროპული თანამეგობრობის სასამართლო) ორგანოებად.

საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოებს შეუძლიათ ნორმატიულობის უმაღლესი ხარისხის დონეზე დავის გადაწყვეტით მისცენ უდიდესი ბიძგი საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებას, მათ ხომ შეუძლიათ შეუსაბამონ სამართლის უნივერსალური პრინციპები ერთა შორის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, შეიტანონ და დაამკვიდრონ ურთიერთობებში ჰუმანურობა და სამართლიანობა, მათ გადაწყვეტილებებს აქვთ სავალდებულო ძალა მოდავე მხარეებისთვის.

ამ ორგანოებში დავის განხილვა ხდება მოდავე მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, როთაც ისინი იმთავითვე კისრულობენ ვალდებულებას შეასრულონ მართლმსაჯულების ორგანოს გადაწყვეტილება.<sup>16</sup>

### (ა) საერთაშორისო სასამართლო (ICJ)

*კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია  
“dura lex, sed lex”.*<sup>17</sup>

საერთაშორისო სასამართლო მუდმივი ორგანოა და იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც განსაზღვრავს იმ ძირითად წესებს, რომლებიც სასამართლოს ორგანიზაციასა-საქმიანობის საფუძველი იქნება. საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებანი ემსახურება მშვიდობისა და ხალხთა შორის უშიშროების დაცვას და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.<sup>18</sup>

<sup>15</sup> პიტერ მალანჩუკი, აკეჰარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, “დიოგენე”, 2005, გვ.311

<sup>16</sup> სავანელი ბ., საერთაშორისო სამართლის საფუძვლები. “ფრინთ-ქოლორი”, თბ., 2000, გვ.

<sup>17</sup> გელოვანი ა., სიბრძნის სიმფონია, “ხელოვნება”, თბილისი, 1989, გვ.411

<sup>18</sup> ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, “ნოვაცია”, თბ., 2006, გვ.329-330

საერთაშორისო სასამართლოს და მისი წინამორბედი საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედ სასამართლოს (PCIJ – სმმს), ხშირად “მსოფლიო სასამართლოს” უწოდებენ.

საერთაშორისო სასამართლოს შტაბ-ბინაა მშვიდობის სასახლე ჰააგაში. სასამართლოს სტატუსი, რომელიც ძალიან ჰგავს სმმს-ს სტატუსს, დართულია გაერო-ს წესდებაზე.

სასამართლოს ორი ფუნქცია აქვს: 1) სახელმწიფოების წარდგენილი სამართლებრივი დავების გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და 2) საერთაშორისო ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილ სამართლებრივ საკითხებზე საკონსულტაციო დასკვნების მიცემა.

სასამართლო 15 მოსამართლისგან შედგება (სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს ერთზე მეტი წარმომადგენელი), რომელთაგან 5 აირჩევა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ცხრა წლის ვადით. თითოეული პალატის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ მოსამართლეები, რომლებიც მსოფლიოს ძირითად ცივილიზაციებსა და სამართლებრივ სისტემებს წარმოადგენენ. უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს ყოველთვის ჰყავს წარმომადგენელი სასამართლოში. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაცია, რაც საჭიროა მათ სახელმწიფოში უმაღლესი სასამართლო თანამდებობის დასაკავებლად ან უნდა იყვნენ საერთაშორისო სამართლის სფეროში აღიარებული ავტორიტეტის მქონე იურისტები. მოსამართლემ უნდა მიიღოს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობა.<sup>19</sup>

სასამართლოს გადაწყვეტილები სავალდებულოა. გაეროს წესდების 94-ე მუხლი ნებას რთავს უშიშროების საბჭოს, “მისცეს რეკომენდაციები ან გადაწყვიტოს, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად”, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ისეთი ზომები, რომლებიც აშკარა საფრთხეს უქმნის მშვიდობას, სანამ სანქციები დამტკიცდება.

სახელმწიფოთა შორის არსებული დავების გადაწყვეტის უფლებამოსილების გარდა, სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები. გაერო-ს წესდების 96-ე მუხლის მიხედვით: *1. გენერალურ ასამბლეას და უშიშროების საბჭოს შეუძლიათ, მოსთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე. საკონსულტაციო პროცედურა გათვალისწინებულია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და არა სახელმწიფოებისთვის (გაეროს 6 ორგანოსა და 16 სპეციალიზებულ ორგანიზაციას აქვთ მსგავსი უფლებამოსილება).*<sup>20</sup>

**(ბ) საერთაშორისო არბიტრაჟი  
(სამედიატორო სასამართლო)**

*ვიდრე ორივე მხარეს არ მოუსმენ, განაჩენს ნუ გამოიტან*

**შვიდი ბრძენი (ბვ.წ. მე-7-6 ს.)<sup>21</sup>**

<sup>19</sup> პიტერ მალანჩუკი, აკეჰარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, “დიოგენე”, 2005, გვ.311-312.

<sup>20</sup> პიტერ მალანჩუკი, აკეჰარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, “დიოგენე”, 2005, გვ. 318-319.

<sup>21</sup> გელოვანი ა., სიბრძნის სიმფონია, “ხელოვნება”, თბილისი, 1989, გვ. 80.

დავების გადაწყვეტის ეს ორგანო იქმნება მხარეთა ურთიერთშეთანხმების (“კომპრომისი”, “სამედიატორო ჩანაწერი”) შედეგად. მხარეები არბიტრაჟს მიმართავენ ნებაყოფლობით და ასეთ დროს ყოველგვარი დაძალება მართლსაწინააღმდეგო აქტია. სახელმწიფოთა სურვილი, მიმართონ მედიაციას მკაფიოდ უნდა გამოიხატებოდეს სათანადო საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში – კონკრეტულ შეთანხმებაში გარკვეული საქმის შესახებ, ან ზოგადი სახის ხელშეკრულებაში, რომლითაც მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არბიტრაჟს გადასცენ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი, ან რაიმე სპეციალური სახის კონვენციაში.<sup>22</sup>

სახელმწიფოთაშორისი არბიტრაჟის სათავეა 1794 წლის ჯაის ხელშეკრულება აშშ-სა და ბრიტანეთს შორის.

არბიტრაჟი უფრო მოქნილია, ვიდრე სასამართლო განხილვა და მხარეებს მეტ საშუალებას აძლევს - აირჩიონ ტრიბუნალის სხდომების ჩატარების ადგილი, აირჩიონ და დანიშნონ არბიტრები, განსაზღვრონ გამოსაყენებელი პროცედურა და არბიტრების უფლებები და უფლებამოსილება (ე.წ. კომპრომისი). არბიტრაჟი შეიძლება კონფიდენციალურად ჩატარდეს.

არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულებები ხშირად ითვალისწინებს, რომ ორივე მხარეს აქვს არბიტრის დანიშვნის უფლება. ასე დანიშნული 2 არბიტრი მესამე არბიტრის (ან umpire-ს) დანიშვნაზე შეთანხმდება.

ბუნებრივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო (PCA – მსს) საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ ჰააგის 1899 წლის კონვენციის თანახმად შეიქმნა. მსს-ს საქმიანობა უკანასკნელ პერიოდში შემოიფარგლებოდა სხვა საარბიტრაჟო ორგანოების შექმნის ხელშეწყობით, რასაც მსს-ს ბიურო ახორციელებს.

მსს-მ განიცადა რეფორმები, რათა მოერგოთ იგი თანამედროვე პირობებისთვის, მიღებულ იქნა მსს-ს “ფაკულტატიური”, საპროცედურო წესები, რომელთა თანახმად, არაწევრ სახელმწიფოს შეუძლია არბიტრაჟში ჩართვა წევრი სახელმწიფოების თანხმობის შემთხვევაში.

ჰანს ფონ მანგოლდტი აწვითარებს იმ მოსაზრებას, რომ მხარეებს სულ უფრო და უფრო უნელდებათ სურვილი, რომ მათ შორის წამოჭრილი დავები განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მას შემდეგი მაგალითები მოჰყავს: სახელმწიფოებს ურჩევნიათ, დავა მოლაპარაკებით გადაწყვიტონ მაშინ, როცა შესაძლებელია, რომ რომელიმე მხარემ ერთპიროვნულად გადასცეს საქმე განსახილველად არბიტრაჟს; პოლიტიკურად მნიშვნელოვან დავებს არ გადასცემენ არბიტრაჟს მათი პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, ხოლო პოლიტიკურად უმნიშვნელო დავებს არ გადასცემენ არბიტრაჟს იმიტომ. ლომ ეს უკანასკნელი მეტისმეტად უმნიშვნელონი არიან ან მათი შეიძლება არბიტრების ჩარევის გარეშე გადაწყვეტა.

კ.-ჰ. ბოკსტიეგელი აღნიშნულ საკითხზე შემდეგი მოსაზრებისაა: უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფოები უპირატესობას არბიტრაჟს ანიჭებენ სასამართლოებთან შედარებით, მით უმეტეს, მხარეებს გავლენა აქვთ არბიტრების არჩევაზე და არბიტრაჟის პროცედურების განსაზღვრაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

თუ არსებულ ტენდენციებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ორმხრივი არბიტრაჟი უფრო ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროშია მისაღები, სადაც თანამშრომლობა ყველა მონაწილე სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, თუ

---

<sup>22</sup> ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, “ნოვაცია”, თბ., 2006, გვ. 328-29

დავები გადაუწყვეტელი კი არ დარჩება, არამედ თავის დროზე იქნება გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება.<sup>23</sup>

### III. დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის წესები საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში

#### (ა) გაერო და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი სპექტები

თანამედროვე საერთაშორისო სამართლისთვის ყოველად მიუღებელია აგრესიული ომი, და საერთოდაც ნებისმიერი გამოვლენილი ძალადობა, ვინაიდან ეს ფაქტი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საზოგადოების მშვიდობიან ფუნქციონირებას, მეტიც – არსებობასაც კი.

1928 წლის 27 აგვისტოს პარიზში დასავლეთის ქვეყნებმა დადეს ე.წ. ბრიან-კელოგის პაქტი, რომლითაც უარი თქვეს ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე.

გაერთიანებული ორგანიზაციის წევრები, თავის მხრივ, ვალდებულებას კისრულობენ მიიღონ ყველა ზომა, რომ “ააცილონ მომავალ თაობას ომის უბედურებანი” (იხ.პრეამბულა) და დედამიწაზე მტკიცე მშვიდობა და ხალხთა უშიშროება განამტკიცონ (მუხ.1, პარაგრ. 1).

გენერალურმა ასამბლეამ ბოლო წლებში მთელი რიგი დეკლარაცია მიიღო, რომლებიც მოუწოდებენ სახელმწიფოებს უფრო აქტიურად დაიცვან გაერო-ს წესდების მოთხოვნები მშვიდობის დაცვის საქმეში (მაგ. 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების შესახებ), საერთაშორისო ორგანიზაციამ დაგმო ჰეგემონიზმის პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე (1979), ამხილა სიონიზმი, როგორც რასობრივი იდეოლოგია და პრაქტიკა (1973 წელი)<sup>24</sup>

ცივი ომის დასრულებამ გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობას ბიძგი მისცა. გაეროს უშიშროების საბჭო ის ორგანოა, რომელსაც “საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის უპირველესი ვალდებულება<sup>25</sup> (წესდება, მუხლი 24(1)) ეკისრება.

უშიშროების უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1951 წელს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც: “თუ უშიშროების საბჭოს სერიოზულ კრიზისულ სიტუაციაში არ შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს მის მუდმივ წევრებს შორის უთანხმოების გამო, იგი იწვევს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიას, რომელსაც თავის მხრივ, შეუძლია რეკომენდაცია მისცეს გაეროს წევრ სახელმწიფოებს - მიიღონ კოლექტიური ზომები, ძალის გამოყენების ჩათვლით, თუ კი ადგილი ექნება მშვიდობის დარღვევას ან აგრესიას”. ამ რეზოლუციის მიღებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ამჟამად უშიშროების საბჭოს თითოეულმა წევრმა იცის, რომ მის მიერ ვეტოს უფლების გამოყენება არ ნიშნავს შესაბამისი საკითხის განხილვის დასრულებას.

<sup>23</sup> პიტერ მაღანჩუკი, აკეპარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, “დიოგენე”, 2005, გვ.323-325.

<sup>24</sup> ალექსიძე ლ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1985, გვ.47-52

<sup>25</sup> თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა, (აკადემიკოს ლევან ალექსიძის დაბადებიდან 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ნაშრომების კრებული), რედ. თამარ გაბელაია, “ინოვაცია”, თბ., 2007, გვ.329



გაეროს გენერალური ასამბლეის ზემოთხსენებული წესდების ერთ-ერთ დებულებაში ვხვდებით შემდეგ ფრაზას: “...ძალის გამოყენების ჩათვლით”, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გაერო მაინც უშვებს ალბათობას ძალის გამოყენებისა? დიახ, ეს ალბათობა დაშვებულია, მაგრამ ხაზგასმით უნდა ავლნიშნოთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში: გაეროს წესდების VII თავი ითვალისწინებს გაეროს მხრიდან ძალის გამოყენებას, როცა საფრთხე ემუქრება საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას, ან მაშინ, როდესაც საჭიროა საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების აღდგენა, ასეთი უფლებამოსილება გააჩნია გაეროს უშიშროების საბჭოს.

გაეროს წესდების V თავის 25-ე მუხლის ძალით: “გაეროს წევრები თანხმდებიან დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი”.

ძალის გამოყენება მშვიდობის დარღვევის ან აგრესიის აქტების შემთხვევაში გაეროს ეგიდით მოქმედ შეიარაღებულ ძალების მხრიდან არ შეიძლება გამოიხატოს აქტიურ სამხედრო მოქმედებებში. ამ შეიარაღებული ძალების მისია შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

- (1) მოწინააღმდეგეთა ჯარების დაშორიშორების უზრუნველყოფა;
- (2) საზღვრების ან სადემარკაციო ხაზის ხელშეუხებლობის მეთვალყურეობა;
- (3) გარედან მოსალოდნელი ჩარევის მეთვალყურეობა და ფაქტების შეგროვება;
- (4) ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლი;
- (5) მტრულ დაჯგუფებებს შორის საბოლოო მოქმედების განახლების დაუშვებლობა;
- (6) რომელიმე ქვეყნისთვის დახმარების გაწევა კანონისა და წესრიგის უზრუნველყოფაში;
- (7) თვითგამორკვევის უფლების განხორციელების უზრუნველყოფაში.<sup>26</sup>

გაეროს წესდების 33-ე და 52-ე მუხლები დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად “რეგიონალურ შეთანხმებებსა და რეგიონალური ორგანიზაციებისადმი მიაპროვას” ასახელებენ. სადაო საკითხის უშიშროების საბჭოს ხელში გადაცემამდე რეგიონალური ორგანიზაციები ცდილობენ ამ საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას, ამრიგად, ისინი დავების მშვიდობიანი გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად გვევლინებიან.

**(ბ) არაბულ სახელმწიფოთა ლიგის** წევრებს შეუძლიათ მიმართონ ლიგის საბჭოს ყველა ისეთი დავის განხილვისთვის, რომელიც არ ლახავს “სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას” (მ.5). ასეთ შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულო და საბოლოოა. ლიგის საბჭო თვითონ სთავაზობს მხარეებს სამსახურს “ყველა ისეთ დავაში, რომელმაც შეიძლება ომი გამოიწვიოს”. ლიგის წევრებს უფლება აქვთ მიმართონ სხვა, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დავების გადაჭრის საშუალებებს.

**(გ) აფრიკის ერთობის ორგანიზაციის** წევრი სახელმწიფოები თავიანთი დავების გადასაწყვეტად იყენებენ სპეციალურად შექმნილ “საშუამავლო, საშემთანხმებლო და საარბიტრაჟო კომისიას” (21 წევრისგან შედგება), რომელიც საქმეს განიხილავს ორივე მხარის თანხმობისას. ერთი მხარის უარის შემთხვევაში საქმეს განიხილავს მინისტრთა საბჭო.

მხარეების მიერ კომისიის შუამავლობის გაწევის უფლების აღიარებისას, კომისიის თავჯდომარე ნიშნავს ერთ/რამდენიმე წევრს შუამავლობისთვის საჭირო სათანადო ფუნქციების მინიჭებით. თუ მხარეები კომისიას სთხოვენ საშემთანხმებლო სამსახურის გაწევას, მისი წევრებისგან

---

<sup>26</sup> სავანელი ბ., საერთაშორისო სამართლის საფუძვლები. “ფრინთ-ქოლორი”, თბ., 2000.

ყალიბდება “შემთანხმებელთა საბჭო” (5 წევრისგან შემდგარი), რომლის არცერთი წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე მხარის მოქალაქე.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის თითო-თითო არბიტრს, რომლებსაც სამართლებრივი კვალიფიკაცია აქვთ, ნიშნავენ მხარეები კომისიის წევრთა სიიდან, ეს უკანასკნელი ნიშნავენ მესამე არბიტრს – თავჯდომარეს.

**(დ) ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციაში** დაგების მშვიობიანი გადაწყვეტის წესი ორგანიზაციული მომენტებითაა გადატვირთული. შუამავლოს როლი შეიძლება დაეკისროს არა სახელმწიფოს, არამედ “გამოჩენილ მოქალაქეს”. “ამერიკის ქვეყნების ხელშეკრულება დაგების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ” ითვალისწინებს დიპლომატიურ მოლაპარაკებას, “კეთილი სამსახურს” და “შუამავლობას”(თავი II), საგამომძიებლო-შემთანხმებელი პროცედურას (თავი III), გაეროს საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვას (თავი IV), საარბიტრაჟო პროცედურას (თავი V).

**(ე) ევროკავშირის** სისტემაში დაგების მშვიდობიანი გადაწყვეტის კომპეტენცია მიეკუთვნება ევროპის საბჭოს და ევროპის სასამართლოს. სასამართლო ეხმარება ეროვნულ სასამართლოებს ევროთათბირის სამართლის ინტერპრეტაციაში, გამოდის სუპერარბიტრად მონაწილე ქვეყნების, გაერთიანებული ორგანოების, ფიზიკურ პირთა შორის, ადასტურებს კანონთა სინამდვილეს. რადგან ევროგაერთიანების მონაწილე ქვეყნებმა აღიარეს გაერთიანების სამართლის პრიმატი ეროვნულ კანონმდებლობაზე, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების იძულებითი შესრულების მექანიზმიც კი დაარსდა, რომელიც მოქმედებს, თუ მონაწილე ქვეყანაში შემოღებულია ან აგრძელებს მოქმედებას ეროვნულ სამართლებრივი ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას ან თუ გაერთიანების სამართლის ნორმები არასწორად ინერგება ეროვნულ სამართალში.

თუ ქვეყანა არ დაემორჩილება გაერთიანების ორგანოთა აქტებს, სპეციულური გამოსცემს ე.წ. დასაბუთებულ აზრს, რომელიც ატარებს ულტიმატუმის ხასიათს და აწესებს ვადას მოთხოვნის შესრულებისთვის, ამის შემდეგ კომისიას უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

იმ წმინდა პოლიტიკური დაგების მოგვარება, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიონ საერთაშორისო დაძაბულობა, ევალება ევროპის საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, იხილავს დაგებს თავის სხდომაზე და კონსულტაციების საშუალებით ცდილობს პრობლემის მოგვარებას, კონფლიქტის თავიდან აცილებას.

**(ვ) ეუთოს** ფარგლებში წამოჭრილი კონფლიქტის თავიდან აცილების ან უკვე არსებულის დროზე ლიკვიდაციის მექანიზმი ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ დაძაბულობა 2 ან რამდენიმე მონაწილე ქვეყანას შორის წარმოიშვა, და იმ შემთხვევაშიც, როცა კონფლიქტს ქვეყნის შიგნით აქვს ადგილი და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას.

კონფლიქტების თავიდან აცილებასა და რეგულირების მიზნით გათვალისწინებულია, პირველ რიგში, უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება, კონსულტაციები, თათბირები, რაზეც მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტს, რომელიც საბჭოს სახელით მოქმედებს. “კეთილი სამსახურის”, შუამდგომლობისა და შერიგების, ფაქტების დამდგენი და მომხსენებელთა მისიების გაგზავნის პროცედურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრის საკონსულტაციო კომიტეტს (ქ. ვენა), რომელსაც ასევე შეუძლია გადაწყვიტოს კონფლიქტის ზონაში ფაქტების დადგენის მისიის, მომხსენებელთა ჯგუფების გაგზავნა.

1991 წლის 15 იანვრიდან 18 თებერვლამდე ქ. ვალეტაში (მალტა) ჩატარდა თათბირი ევროგაერთიანების მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებისა, რომლებმაც შეიმუშავეს

“დავების მოწესრიგების პრინციპები და ევროგაერთიანების პროცედურის დებულებანი დავების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის”. მონაწილე სახელმწიფოები თავს ივალდებულებენ თავი შეიკავონ დავების გამწვავებისგან, ყველა ღონე იხმარონ რათა არ დაუშვან მათი გადაზრდა შეიარაღებულ კონფლიქტში (მ.6-10, “პრინციპები”). “პროცედურებში” ძირითადი ტვირთი მთავარ კომიტეტს ეკისრება, რომელსაც ნებისმიერმა მოდავე მხარემ შეიძლება მმართოს (გამონაკლისია, როცა დავა ეხება ტერიტორიულ მთლიანობას, ორგენულ თავდაცვას, სუვერენულ უფლებას ხმელეთის ტერიტორიაზე ან ერთდროულად პრეტენზიას იურისდიქციაზე სხვა რაიონების მიმართ).<sup>27</sup>

#### IV. საერთაშორისო დავების მოგვარების სფეროში წარმოდგენილი საშუალებების განვითარება

მეტად საინტერესოა იმ მოსაზრებათა წარმოდგენა ჩვენს ნაშრომში, რომლებიც წარმოადგენენ ე.წ. “იმედებს” და პერსპექტივებს, მიაძრთულს მოამკლისკენ. შაინტერესოა, როგორ ჩანს მომავალი, 21-ე საუკუნის საერთაშორისო სამართლის ქმედითი მექანიზმები 20-ე საუკუნის მიწურულიდან, რა პერსპექტივები ესახებათ მეცნიერებს ამ სფეროში? ფრანცისკო ორეგო ვიკუნია და კრისტოფერ პინტო თვლიან, რომ მე-20 საუკუნის განმავლობაში მიღებული გამოცდილება საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ - სახელმწიფოებს გააჩნიათ უპირატესობა მოავგარონ თავიანთი დავები, მიმართონ რა მოლაპარაკებებსა და სხვა მშვიდობიან მეთოდებს, მაშინ როდესაც კანონი საშუალებები მაინც დიდი ხნის განმავლობაში რჩება როგორც ზემოაღნიშნული საშუალებების ალტერნატივა. დავის მოგვარების საშუალებების მრავალფეროვნება იმისთვისაცაა საჭირო, რომ სახელმწიფოებს ამით მიეცეთ საშუალება მათ შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთებისა, ამის შედეგად კი მათი უშუალოდ გამოყენებისა. მესამე, დამატებით ძალებსაც შეუძლიათ დავების მოგვარებაში მიიღონ მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ მესამე ძალების “დახმარებას” საჭიროებენ დავის მოგვარების წარმოდგენილი სხვადასხვა მეთოდები, რათა მოხდეს მათი პრაქტიკაში რეალიზაცია. კარგად ჩამოყალიბებული დავის მოგვარების საშუალებათა ნაირსახეობაა წარმოდგენილი და “ხორცშესხმული” საერთაშორისო ასპარეზზე ახალი გამოძახილების პასუხად.

პირველი მნიშვნელოვანი მახასიათებელი საერთაშორისო დავების მოგვარების სფეროში თანამედროვე მიღწევებისა არის ის, რომ ისინი უფრო მეტად მიაძრთულია დავების პრევენციისკენ, ვიდრე უკვე მიმდინარე როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული დავების გადაწყვეტისკენ. უახლოესმა გამოცდილებამ დაკავშირებულმა მშვიდობის უზრუნველყოფასა და მის შენარჩუნებასთან, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალი, პრევენციული ზომების ნათელყოფისთვის. ეს მიღწევები მოექცევა ყურადღების ცენტრში მომავალ 21-ე საუკუნეში, მაგრამ რა თქმა უნდა უკვე არსებული დავების მოგვარებას საშუალებები მაინც გახდება საჭირო იმ შემთხვევაში, თუ პრევენციული ცდები

<sup>27</sup> ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, “ინოვაცია”, თბ., 2006, გვ.330-335.

არ გაამართლებს.<sup>28</sup> მათ შორის უნდა აღინიშნოს სამართლებრივი საშუალებები, კანონი ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილურობის კლიმატის გარანტირებისთვის.<sup>29</sup>

### 5. “დემოკრატიული მშვიდობის” თეორია<sup>30</sup>

მშვიდობის დამყარება, მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების დამკვიდრება, ომების თავიდან აცილება იყო და რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად.

70-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში კვლავ წარმოიშვა დისკუსია მშვიდობის დამყარებისათვის აუცილებელ პირობათა შესახებ. გერმანელი ფილოსოფოსის, კანტის აზრით, მარადიული მშვიდობისთვის სამი პირობა უნდა არსებობდეს: (1) ყოველი სახელმწიფო რესპუბლიკა უნდა იყოს; (2) საერთაშორისო სამართალი თავისუფალი სახელმწიფოების ფედერალურ კავშირს უნდა ეფუძნებოდეს; (3) საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიოს მოქალაქეობის სამართალი, რომელიც საყოველთაო სტუმართმოყვარეობის პირობებით შემოიფარგლება.

ინტელექტუალური, ტექნიკური და ეკონომიკური რევოლუციების შედეგად, კაცობრიობა თითქოს მშვიდობის გამეფების ეპოქაში უნდა შესულიყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ მომხდარა, ამის მიზეზად კი შემდეგი შეიძლება დავასახელოთ: რაიმონ არონის აზრით პროგრესის მიუხედავად, ისტორიული პროცესი არ იცვლება და იგი იმპერიების, არმიებისა და გმირების დრამად რჩება, მაგრამ იარაღის სრულყოფისა და ეკონომიკის განვითარების შედეგად, ომის შესაძლებლობები მინიმუმამდე შემცირდება.

დღეს მსოფლიოს 40%-ზე მეტი დემოკრატიულია. ძალა და სიმდიდრე სწორედ დემოკრატიულ სახელმწიფოებშია თავმოყრილი, თუმცა მ.სმოლი და ჯ.დ.ზინგერი, რომლებიც იკვლევდნენ ომთან დემოკრატიული რეჟიმების მიმართებას, ამტკიცებდნენ, “მშვიდობისმოყვარული” დემოკრატიული სახელმწიფოები ისევე ხშირად ომობენ, როგორც ავტოკრატიული სახელმწიფოები. ქლეინმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მოვლენების პროგნოზისათვის დემოკრატიული მშვიდობის თეორიაზე მეტად რეალიზმია გამოსადეგი. ლეინს მიაჩნია, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორია მითია და შეუძლებელია მისი ჭეშმარიტად გამოცხადება.

ზოგიერთი ავტორის აზრით, თუ სახელმწიფოს შიგნით კონფლიქტური ვითარება დამკვიდრებული, მიღებული ნორმების მიხედვით, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით განიმუხტება, იგივე უნდა მოხდეს ორ სახელმწიფოს სორის კონფლიქტის არსებობისას. აქედან შეიძლება წარმოიშვას ე.წ. “დემოკრატიული მშვიდობა”, რადგან ზ.მაოზისა და ბ.რასეტის თანახმად, სახელმწიფოებს შიდა ქცევის ნორმები საგარეო ურთიერთობებზე გადააქვთ.

<sup>28</sup> Francisko Orrego Vicunia, Christopher pinto, The peaceful settlement of disputes: prospects for the twenty-first century ( Report prepared for the 1999 Centennial Commemoration of the First Piece conference), p.110-111.

<sup>29</sup> Francisko Orrego Vicunia, Christopher pinto, The peaceful settlement of disputes: prospects for the twenty-first century ( Report prepared for the 1999 Centennial Commemoration of the First Piece conference), p.112-113.

<sup>30</sup> რონდელი ალექსანდრე, საერთაშორისო ურთიერთობები, (III განახლებული გამოცემა) გამომც. “ნეკერი”, თბ., 2006, გვ.186-193

კაცობრიობის სანუკვარი ოცნება, დედამიწაზე მშვიდობა დამყარდეს, არასდროს არ დამცხრალა და იგი დღეს ახალ ძალას იკრებს. “დემოკრატიული მშვიდობის თეორიის” გარშემო დაპირისპირებულ მხარეებს მოჰყავს გარკვეული არგუმენტები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, მაგრამ არის ისეთი საკითხები, რომლებიც მხოლოდ ისტორიის განაჩენს ელიან. ერთი რამ კი ფაქტად რჩება - “მოწიფული”, ფესვგადგმული დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებს მართლაც ერთმანეთში არ უომიათ, ეს კი დემოკრატიული მშვიდობის თეორიის იმედისმომცემი არგუმენტია.

## დასკვნისათვის

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართალი ყველა არსებული ხერხით ცდილობს უზრუნველყოს დავების მშვიდობიანი მოგვარება მეტიც, ნერგავს სიახლეებს ამ სფეროში. იგი, ფაქტიურად, სარბიელს უთმობს მოდავე მხარეებს იმისთვის, რომ მათ მაქსიმალურად გამოიყენონ დავის მოგვარების ყველა ბერკეტი.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, “თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნებს შორის ყოველდღიურ ურთიერთობებში სრულდება ოთხი მთავარი მოტივის გამო: 1. თვითსარგებელი; 2. ჩვევა; 3. პრესტიჟი და 4. რეპრესალიის შიში”<sup>31</sup>. მაგრამ სახელმწიფოები ხშირად ივიწყებენ ამ ფაქტორებს, რადგან, ვაჭრობისაგან განსხვავებით, საერთაშორისო პოლიტიკა არ არის ისეთი სფერო, სადაც პატიოსანი გარიგებებით ყველა მოგებულა და, შესაბამისად, აქ ხშირია ისეთი სუპერსახელმწიფოების მაგალითები, რომელთაც საკუთარი ძლევამოსილების გამო სასჯელი არ ემუქრებათ. რაც შეეხება დანარჩენ ფაქტორებს, სუსტის ხშირი დაჩაგრვა ცხადია ჩვევად იქცევა ხოლმე, თუმცა საერთაშორისო პრესტიჟის შენარჩუნებაზე მაინც ყველა ზრუნავს. ამის მიზეზი კი განსაკუთრებით ის, რომ, როგორც ქენისი რაითი აღნიშნავს, „ახალი საერთაშორისო სამართლის მიხედვით ომი აღარ განიხილება დუელად ორ სამართლებრივად თანასწორ მხარეს შორის, რომელიც მხოლოდ მათ ეხებათ, არამედ – ყველა ქვეყნის საწინააღმდეგო დანაშაულად, რომელიც თავიდან უნდა იქნას აცილებული“.

როდესაც მხარეებს შორის ადგილი აქვს მცირე დაპირისპირებასაც კი, სასიცოცხლოდ აუცილებელია მათ გონიერებას მოუხმონ, მოახდინონ ძალთა და შესაძლებლობათა მობილიზაცია, რაც, თავის მხრივ, რაციონალური განსჯისა და ობიექტური აზროვნების შედეგი უნდა იყოს. დიდი ბერძენი ფილოსოფოს-მატერიალისტი ჰერაკლიტე ეფესოელი (დაახ. 540-480 ძვ.წ.)<sup>32</sup> ბრძანებდა – აზროვნება უდიდესი ღირსებააო, აქედან გამომდინარე, რაც მეტი იქნება მხარის მიერ გაანალიზება იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ დროს “დანარჩენზე წამოსული” საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება კონფლიქტის მომავალი გადაწყვეტისთვის, მით უფრო იქნება შედეგიც.

და მაინც, არის მთელი რიგი პერსპექტივებისა, რაც იმედს გვაძლევს, რომ მომავალი მსოფლიო იქნება საკმარისად “კეთილგონიერი” იმისთვის, რომ მაქსიმალურად ააცილოს მოსახლიობას ის უბედურება, რასაც ომი ჰქვია(არ დაგვავიწყდეს, რომ ომი დაპირისპირების უკიდურესი ფორმაა, აქედან გამომდინარე იგი მის საწყის ეტაპზევე, მაშინ როცა დავა ჯერ კიდევ ძალებს იკრებს, უნდა “გაეწიროთ დასალუპად”).

დღევანდელი მსოფლიოში ძალის გამოყენება აღარ განიხილება, როგორც ყველაფრის წამალი. სახელმწიფოები ამჯობნებენ, ითანამშრომლონ ეკონომიკაში, პოლიტიკასა და ეკოლოგიაში, თავიანთი

<sup>31</sup>ციტირება მოტანილია თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებების ფაკულტეტის სტუდენტისნოდარ ტანგიაშვილის ნაშრომიდან - იდეალიზმი თუ რეალიზმი საერთაშორისო სამართალში. (ნაშრომის ელექტრონული ვერსია).

<sup>32</sup> გელოვანი ა., სიბრძნის სიმფონია, “ხელოვნება”, თბილისი, 1989, გვ48.

მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად. უძლიერესი სახელმწიფოები უფრო ეკონომიკური და ტექნოლოგიური მეტოქეობით ცდილობენ თავიანთი მიზნების მიღწევას.<sup>33</sup>

ლორდ ჩესტერფილდს თავისი ვაჟისთვის უთქვამს – “იყავი სხვებზე ბრძენი, მაგრამ ნურაფერს ეტყვი მათ ამის თაობაზე”. მარტივი ჭეშმარიტებაა, თუნდაც სახელმწიფოების მაგალითზე, რომ მოგებულ რჩება ის მხარე, რომელსაც მომრიგებლური, დიპლომატიური პოლიტიკა აქვს არჩეული, გათავისებული აქვს წესი – “ყოველთვის მოერიდეთ მახვილ კუთხეებს” და შესაბამისად, მის სიტყვასაც (გადაწყვეტილებასაც) მეტი ფასი ადევს.

ჩვენი აზრით, დავა გადავიკვებულ მხარეებს შორის ყველაზე ეფექტურად მოგვარდება იმ შემთხვევაში, თუ თეორიულად დიდი ისტორიის მქონე წესებს უშუალოდ პრაქტიკაში განვახორციელებთ, წავალოთ დათმობაზე, მოვილაპარაკებთ, ეს ხომ ისევ ჩვენ ინტერესებს მოხმარდება, თანაც სასარგებლოდ!

## ძირითადი წყაროები

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. – სტოკჰოლმი, 1991, შესრულებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით.
2. Shaw M., International Law, The Fifth Edition, Cambridge University publ.,2005.
3. მალანჩუკი პ., აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, “დიოგენე”, 2005,
4. რონდელი ალ., საერთაშორისო ურთიერთობები (III განახლებული გამოცემა), გამომც. “ნეკერი”, თბ., 2006
5. ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, “ინოვაცია”, თბ., 2006
6. სავანელი ბიძინა, საერთაშორისო სამართლის საფუძვლები. “ფრინთ-ქოლორი”, თბ.,2000
7. Francisko Orrego Vicunia, Christopher pinto, The peaceful settlement of disputes: prospects for the twenty-first century ( Report prepared for the 1999 Centennial Commemoration of the First Piece conference).
8. ალექსიძე ლ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1985
9. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა, (აკადემიკოს ლევან ალექსიძის დაბადებიდან 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ნაშრომების კრებული), რედ. თამარ გაბელაია, “ინოვაცია”, თბ., 2007
10. ხუბუა გ. სამართლის თეორია. – თბილისი, 2005.
11. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი(ICCN), როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები, გამოშვება I, რედ. გიორგი ხუციშვილი, თბ, 2000
12. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება (გამოცემული საქართველოში გაერო-ს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის ოფისის მიერ,თბ.,2002 წ., copyright United Nations DPI/511-July-1993-2M, UN Publications)
13. გელოვანი ა., სიბრძნის სიმფონია, “ხელოვნება”, თბილისი, 1989
14. [www.google.com](http://www.google.com) – ინტერნეტ საძიებელი, ნოდარ ტანგიაშვილი, იდეალიზმი თუ რეალიზმი საერთაშორისო სამართალში. (ნაშრომის ელექტრონული ვერსია).
15. [www.gyla.ge](http://www.gyla.ge) – ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ინტერნეტ გვერდი

---

<sup>33</sup> რონდელი ალექსანდრე, საერთაშორისო ურთიერთობები (III განახლებული გამოცემა), გამომც. “ნეკერი”, თბ., 2006, გვ. 178.